ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1227362

ნომერი: AR1208850

თარიღი : 08.04.2014

გაცემის თარიღი : 17.04.2014

გაცნობის თარიღი : 17.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი,ქერჩის ქ.#1 მიმდებარედ;;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანუკა ქორაია პ/ნ 42001004146
- ფოთი დ.კლდიაშვილის ქ. N 88 ბ. 15

ორგანიზაცია:
- თი ენდ ბი კოდი: 202237490

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ღობის მშენებლობისა და მასში ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ქერჩის ქუჩა, ნაკვ. #19/016, შპს "თბილ ლაინი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობისა და მასში ჭიშკრის მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.11.12.019.016; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, ქერჩის ქუჩა, ნაკვ. #19/016, შპს "თბილ ლაინი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობისა და მასში ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ: ღობე უნდა განთავსდეს შპს "თბილ ლაინი"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.